

თავისუფალი მონეტარული სისტემის ფუნქციონირების საკითხის გააზრებისთვის



მირზა ხიდაშელი,

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი

MIRZA KHIDASHELI,

PhD Business Administration,

Associate Professor of Kutaisi University

ანოტაცია

2008 წლის ფინანსური კრიზისის შედეგების სალიკვიდაციოდ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ რაოდენობრივი შერბილების 4 პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 4,5 ტრილიონი დოლარის ფასიანი ქაღალდების შექმნა განახორციელა. პროგრამის მასშტაბებისთვის ხაზგასმის მიზნით შეიძლება აღინიშნოს, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემის ბალანსი 2008 წლის ჩათვლით 1 ტრილიონ დოლარზე ნაკლებს შეადგენდა.

როგორც კეიტოს ინსტიტუტის (FAO IIS-სტიტუტე) ერთ-ერთი უკანასკნელი კვლევა გვიჩვენებს, ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებაზე რაოდენობრივი შერბილების პროგრამების დადებითი ზემოქმედება არ მტკიცდება. რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკის არადიარეული მარცხის ფონზე, აქტიურად მიმდინარეობს ნაღდი ფულის (ამ ეტაპზე, მაღალი ნომინალის ბანკოტების) შეზღუდვის იდეის კულტივაცია, რომელიც ეფუძნება კრიმინალთან და ტერორიზმთან ბრძოლას. 25-წლიანმა გამოძიებამ 90-ზე მეტი ქვეყნის მაგალითზე აჩვენა, რომ კორუფციის მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევებში ფიგურირებს ნაღდი ფული, ძირითადი ტრანზაქციები ხორციელდება ბანკებით. შესაბამისად, ჩნდება ეჭვი, რომ ნაღდი ფულის წინააღმდეგ მიმართული კამპანია, მიხნად ისახავს არსებული (არასრულყოფილი) საფინანსო სისტემის მოდელისა და მონეტარული პოლიტიკის მარცხის შენიღბვას დეპოზიტებზე უარყოფითი საპროცენტო განაკვეთის დაწესების გზით, რათა მოხერხდეს

ინვესტირების პროცესის იძულებითი ფორმით წახალისება და ეკონომიკა დაუბრუნდეს ზრდის კრიზისამდე ტემპებს, რაც მარცვისა და ფინანსური დიქტატურის ერთგვარი ფორმაა და არღვევს თავისუფალი ბაზრის ფუნდამენტურ პრინციპებს.

ნაცვლად არსებული საფინანსო სისტემის ციფრულ გარემოში „გადარგვისა“, შესაძლებელია, განვიხილოთ ალტერნატიული რეალობა, ეკოლუციის ალტერნატიული გზა, რომელის საფუძვლებიც 1992 წელს აღწერა მილტონ ფრიდმანმა „The Island of Stone Money“, რომელშიც მიკრონეზიის მოსახლეობა ფულად იყენებს წინასწარ შეთანხმებულ თვალსაჩინო ადგილზე მათ მიერვე შეგროვებულ დიდი ზომის ქვებს, რომლებიც სავაჭრო ოპერაციების შედეგად საჯაროდ იცვლიდნენ მფლობელს, თუმცა არ იცვლებოდა მათი გეოგრაფიული მდებარეობა. მიუხედავად მისი ფორმებისა, სახეზე გვაქვს აბსოლუტურად თავისუფალი, ცენტრალური ინსტიტუტის გარეშე ოპერირებადი, მონეტარული ინტერვენციებისგან გარეშე მომუშავე სტაბილური სავალუტო სისტემა, რომელიც რეალურად ფუნქციონირებს. ფრიდმანის მიერ აღწერილი სავალუტო სისტემის მოხერხებელი და მოძველებული (XXI საუკუნისთვის შეუფერებელი) ფორმები სრულად გადაწყდა სატომო ნაკამოტოს სახელით ცნობილი ანონიმური პროგრამისტის მიერ 2009 წელს შექმნილ ბიტკოინ პლატფორმაში, რომელიც სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს.

თანამედროვე კაცობრიობის ფინანსური ცხოვრება დგას სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზათგასაყარზე, ის ან გააგრძელებს შინაარსობრივად გაუმართავ, კრიზისების ფართო პალიტრის მქონე საფინანსო სისტემაში ცხოვრებას ნაღდი ფულის გარეშე ან აირჩევს თავისუფალ მონეტარულ სისტემას, რომელშიც მას არ ეყოლება პოპულისტური მიზნებით განმსჭვალული „ყოვლის მცოდნე“ და „წინასწარმეტყველი“ პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც „გეგმავენ“ როგორ უნდა იზრდებოდეს ეკონომიკა, ფულის მასა, ინფლაცია და ა.შ.

საკანძო სიტყვები: მონეტარული სისტემა, ნაწილობრივი დარეზერვების სისტემა, კრიპტო ვალუტა, ბიზნესის ციკლი, ბიტკოინი, რაოდენობრივი შერბილება.

FOR BETTER UNDERSTANDING OF FREE MONETARY SYSTEM

Abstract

Since 2008 financial crisis Federal Reserve System has purchased vast sums of bonds - of \$4, 5 trillion. For better perception of Q.E. programs, it should be mentioned that, total assets held by Federal Reserve until 2008 was less than \$ 1 trillion.

As last researches of the CATO Institute show, there is no scientific evidences, which claims Q.E. programs impact on the real economic and employment. Amid of Q.E. programs failure, we see media campaign against physical cash. The official reason of “war on cash” is preventing criminal and terrorism by constraining financial support. 25-year investigation in 90 states showed that, there is very small amount of bribery and criminal cases where payments are made by cash, in most cases there are involved banks. Hence, we could have doubts about above mentioned reasons of a cash prohibition. Real aim of the campaign may be disguising inherent problems of current financial system and Q.E. interventions by applying negative interest rates on private deposits, for forcing investment and growth. It will be one more populist monetary experiment (after Q.E. failure) for saving fractional reserve banking and fiat money system which finally breaks principles of free market.

Instead of translocation an existing financial system into digital environment, we can discuss different reality, another way of the evolution, which was explained in 1992 by Milton Friedman „The Island of Stone Money“, The popula-

tion of Yap uses big round stones (heavier than a car) as a money. Stones are collected in the remarkable place and according to trade results, part of stones change an owner, but location of stones remain the same. Beyond the external forms, this is an example of free monetary system, which is operating without any central authority and monetary interventions. Anonymous programmer with nickname Satoshi Nakamoto solved the problem of external forms in 2009, by creating of bitcoin.

Now Mankind is on the crossroad of strategic importance, it will remain in the inherently incomplete monetary and financial system of fiat currencies or it will build a free monetary and financial system according core principles of bitcoin ecosystem, where populist politicians will not have a power and ambition to plan GDP, inflation and other growth rates.

Key Words: Monetary system, Fractional reserve Banking, Cripto Currency, Business Cycle, Quontitive Easening.

შესავალი

„დიდი რეცესია“ — ასე ეწოდება იმ რეალობას, რომელშიც თანამედროვე გლობალური ეკონომიკა 2008 წლის შემდეგ ცხოვრობს. ფინანსური და ეკონომიკური კრიზისები, ერთი მხრივ, ართულებენ ყოფით ცხოვრებას, ხოლო, მეორე მხრივ, ააქტიურებენ სამეცნიერო ასპარეზს დაშვებული შეცდომებისა და საკითხისადმი მიდგომებში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით. ქვემოთ მოცემული ნაშრომიც სწორედ ამ პროცესის ნაწილი და გაგრძელებაა. საფინანსო სისტემა და მისი მოწყობის საკითხი პერმანენტული კამათის საკითხს წარმოადგენს სამეცნიერო წრეებში და განსაკუთრებით ეკონომიკურ სკოლებს შორის. მოცემული ნაშრომი წარმოადგენს მონეტარულ სისტემაში მიმდინარე უმწვავესი პროცესების (რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკისა და ქაღალდის ფულის წინააღმდეგ მიმართული მედია კამპანიის) კრიტიკას ავსტრიული ეკონომიკური სკოლის ძირითადი პოსტულატების მიხედვით. კვლევის მიზანია მკაფიოდ ვაჩვენოთ: ერთი მხრივ, არსებული მონეტარული სისტემის შინაარსობრივი ხარვეზები, რაც წარმოადგენს გადაულახავ წინააღმდეგობას და ვლინდება მწვავე კრიზისების სახით. მეორე მხრივ, თავისუფალი მონეტარული სისტემის არსებობის შესაძლებლობა, მისი შინაარსობრივი სრულყოფილება და უპირატესობები.

რაოდენობრივი შერბილების მონეტარული პოლიტიკის შედეგები

2008 წლის ფინანსური კრიზისის შედეგების სალიკვიდაციოდ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ რაოდენობრივი შერბილების 4 პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 4,5 ტრილიონი დოლარის ფასიანი ქაღალდების შექმნა განახორციელა. პროგრამის მასშტაბებისთვის ხაზგასმის მიზნით შეიძლება აღინიშნოს, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემის ბალანსი 2008 წლის ჩათვლით 1 ტრილიონ დოლარზე ნაკლებს შეადგენდა. ფასიანი ქაღალდებზე ხელშეწყობით შექმნილმა სტაბილურმა მოთხოვნამ ხელი შეუწყო ვოლ-სტრუქტურისთვის „ხელსაყრელი“ ფასების ფორმირებას საფონდო ბირჟაზე, მაგრამ უფრო საინტერესოა, რა დადებითი გავლენა ჰქონდა მოცემულ პროგრამებს რეალურ ეკონომიკასა და დასაქმებაზე.[7]

როგორც კეიტოს ინსტიტუტის (CATO Institute) ერთ-ერთი უკანასკნელი კვლევა გვიჩვენებს, ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებაზე რაოდენობრივი შერბილების პროგრამების დადებითი ზემოქმედება არ მტკიცდება. არ არსებობს კვლევა, რომელსაც შეუძლია დაამტკიცოს, რომ არსებული ეკონომიკური ზრდა მონეტარული შერბილების პროგრამის შედეგია და არა სხვა ფაქტორების. [1] აღნიშნულ პოზიციები კიდევ უფრო ამყარებს სენტ ლუისის ფედერალური სარეზერვო ბანკის ვიცე-პრეზიდენტის შეფასება, რომ რაოდენობრივი შერბილების პროგრამებსა და ფედერალური სარეზერვო სისტემის ფუნქცია-მოვალეობებსა და მიზნებს შორის კავშირს ვერ ხედავს. [4] ფედერალური სარეზერვო სისტემა პასუხისმგებელია დასაქმებასა და ფასების სტაბილურობაზე, თუმცა 4,5 ტრილიონის ღირებულების მონეტარული ინტერვენცია აშშ-ში დასაქმებულთა ხელფასებში აისახა მხოლოდ 0,2%-იანი ზრდით. [3] სამშენებლო, სამრეწველო და ენერჯეტიკის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2000 წელთან შედარებით 21%-ით არის შემცირებული. არაფინანსურ სექტორში დაფიქსირებული ზრდის ტემპი კი შეადგენს 1.1%, რაც 1953-2000 წწ არსებული ანალოგიური მაჩვენებლის ზუსტად ნახევარია. [6]

ამ მონეტარული ექსპერიმენტის შედეგების სრულად გამოვლენას, აღქმასა და გაანალიზებას წლები დასჭირდება. შესაბამისად, რთულია შედეგების ამსახველი ზუსტი ბალანსის შედგენა დღეს, თუმცა მისი არაეფექტიანობა მკვეთრად შესამჩნევია.

მოტივები ნაღდი ფულის წინააღმდეგ

რაოდენობრივი შერბილების მონეტარული ღონისძიებების პარალელურად აქტიურად განიხილება ნაღდი ფულის, როგორც გადახდის კანონიერი საშუალების აკრძალვის საკითხი. რიგ ქვეყნებში, ამ მიმართულებით უკვე შეიმჩნევა გარკვეული პროგრესი, თუმცა ზოგადად იდეა ჯერ მხოლოდ განხილვის ეტაპზეა.

არსებობს ორი მთავარი მიზეზი, თუ რატომ არ უყვარს სტატისტიკას (როგორც მეცნიერებას) ნაღდი ფული:

- საგადასახადო სტრუქტურებს არ აქვთ საშუალება თვალი მიადევნონ და დაბეგრონ თითოეული ფულადი ტრანზაქცია;
- კეინსიანელები ისურვებდნენ, ჰქონდეთ საშუალება (დანაზოგების დაბეგრის გზით), გვაიძულონ, ვხარჯოთ მეტი და დავზოგოთ ნაკლები.[2]

ოფიციალური პოზიცია, რომლის მიხედვითაც ხდება ნაღდი ფულის (ამ ეტაპზე, მაღალი ნომინალის ბანკნოტების) შეზღუდვის იდეის კულტივაცია, ეფუძნება კრიმინალთან და ტერორიზმთან ბრძოლას. ანუ, რეალურად საუბარია უსაფრთხოების მიზნებისთვის თავისუფლების მსხვერპლად გაღებაზე. ბრიტანელი ბანკირი, პიტერ სენდსი ამტკიცებს, რომ მაღალი ნომინალის ბანკნოტების გაუქმება არ გამოიღებს შედეგს კრიმინალთან ბრძოლაში. მისი თქმით, 25 წლიანმა გამოძიებამ 90-ზე მეტი ქვეყნის მაგალითზე აჩვენა, რომ კორუფციის მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევებში ფიგურირებს ნაღდი ფული, ძირითადი ტრანზაქციები ხორციელდება ბანკებით. როდესაც საუბარია ანტიკვარიატით, ძვირფასი ლითონების ნაკეთობებით, ხელოვნების ნიმუშებით და ა.შ. არალეგალურ ვაჭრობაზე, მაღალი ნომინალის ბანკნოტების გაუქმება უმედეგო იქნება.[4]

2008 წლის ფინანსური კრიზისისა და მისი დაძლევის მექანიზმების არაეფექტიანობის შემდეგ გასაოცარია, რომ არსებული სისტემისა და მეთოდების მოქმედების არეალის გაფართოებაზე მიდის ძირითადი მსჯელობა და არა სისტემის არსებით რეფორმირებაზე. ჩვენ ვმსჯელობთ ტკივილგამაყუჩებლებზე და არა დაავადებაზე, მის ბუნებასა და პრევენციაზე.

კეინსიანური და (ჩიკაგოს სკოლის) რაოდენობრივი თეორიის ანტიციკლური მექანიზმები ემსახურება ნაწილობრივი დარეზერვებას სისტემის ნაკლოვანებებისა და მათგან გამოწვეული საფინანსო და ეკონომიკური კატასტროფების შენიღბვას. რაოდენობრივი

შერბილების მონეტარული მექანიზმების მიზანია, გამოაცოცხლოს სტრესულ მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკა და არა სტრესის გამომწვევი ფუნდამენტური მიზეზების აღმოფხვრა.

2008 წლის ფინანსური კრიზისი მნიშვნელოვანი ტესტი აღმოჩნდა კეინსიანელობისა და მონეტარისტიკისთვის, მკურნალობის მათი რეცეპტები ვეღარ ახერხებენ შენიღბონ ნაწილობრივი დარეზერვების სისტემისგან ეკონომიკისთვის მიყენებული ზიანი, რის შედეგადაც ჩვენ დღეს ვიმყოფებით „დიდი დეპრესიის“ შემდეგ არნახულ ეკონომიკურ რეცესიაში. თუმცა, ნაცვლად თავად სისტემის რეფორმირებისა, გვთავაზობენ ნაღდი ფულის მიმოქცევიდან ამოღებას, რათა არსებული სისტემის არასრულყოფილი ბუნება კიდევ უფრო შეუმჩნეველი გახდეს. კიდევ უფრო გაიზარდოს ისეთი ავანტიურული მონეტარული ინტერვენციების მოქმედების არეალი, როგორცაა უარყოფითი საპროცენტო განაკვეთის დაწესება. მიმდინარე წლის იანვარში იაპონიის ცენტრალურმა ბანკმა უკვე დაიწყო ამ მონეტარული ინსტრუმენტის გამოყენება, რათა აიძულოს კომერციული ბანკები დააკრედიტონ შესუსტებული ეკონომიკა.[9] რა მოხდება, თუ აღარ არ იარსებებს ქალაქის ფული და კომერციული ბანკები ზემოაღნიშნულ პირობებში ჩააყენებენ კლიენტებს? ხომ არ ხდება, ამ პროცესისთვის ნიადაგის მოშხადება?

გარდა ზემოაღნიშნული მიზეზებისა, ნაღდი ფულის საწინააღმდეგო კამპანიის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს საბანკო პანიკების „თავიდან აცილება“. აქ მკაფიოდ ჩანს ის არასრულყოფილი ბუნება, რომელიც ნაწილობრივი დარეზერვების სისტემას გააჩნია და მდგომის არსი და მიზანი, რომელსაც გვთავაზობენ.

ნაწილობრივი დარეზერვების სისტემაში ბანკებს შესაძლოა, მისი აქტივების მხოლოდ 1% ჰქონდეთ ნაღდი ფულის სახით. როდესაც ჩნდება ეჭვები და საფრთხეები საბანკო სისტემასთან მიმართებაში, ჩვენ ვიღებთ:

- შეზღუდვებს საბანკო ანგარიშებიდან ფულის მოხსნის მაქსიმუმის დაწესებით;
- შეზღუდვების გრძელვადიან პერიოდში შენარჩუნებით შესაძლოა განვითარდეს ფინანსური კრაზი.

მაგრამ, მას შემდეგ, რაც არ იარსებებს ნაღდი ფული, აღარ იარსებებს საბანკო სისტემის გარეთ არსებული ფული და მნიშვნელოვნად გაიზარდება საბანკო სისტემის უნარი — შე-

ნიღბოს ჭარბი დააკრედიტებთ გამოწვეული ფულის უკმარისობის ფაქტი. ჩვენ მივიღებთ არა უფრო გამართულ სისტემას, არამედ არსებულ სისტემას რომლის ნაკლოვანებებიც აღარ იქნება თვალნათლივ შესამჩნევი.

მონეტარული სისტემის ევოლუციის ზემოაღნიშნული გზის გარდა არსებობს ალტერნატიული გზაც. ტექნოლოგიური პროგრესი არის ინსტრუმენტი და შესაბამისად ობიექტური მოვლენა. წინააღმდეგობას ქმნის არა ტექნოლოგიური პროგრესი და კრიპტოვალუტა არამედ ნაწილობრივი დარეზერვების სისტემა და მონეტარული მანიპულაციები რომელიც მნიშვნელოვანი შინაარსობრივი წინააღმდეგობებისგან შედგება და პერიოდულად თავს გვასხეებს ლოკალური და გლობალური ფინანსური კრიზისების სახით, რომლის ანატომიაც სრულყოფილად ახსნა ავსტრიულმა ეკონომიკურმა სკოლამ.

თავისუფალი ბაზრის პირობებში, სარგებლის განაკვეთი სესხზე (ისევე, როგორც ყველა სხვა პროდუქტსა და მომსახურებაზე) ყალიბდება მოთხოვნა მიწოდების შეპირისპირებით. შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთის დონე დამოკიდებულია დაზოგვის სურვილზე, თუ დანაზოგების მოცულობა იზრდება, მცირდება საპროცენტო განაკვეთი და შესაბამისად იზრდება რენტაბელური ბიზნეს სექტორების რაოდენობა. დაზოგვის სურვილის ზრდის პარალელურად, მცირდება მოხმარება, რაც ამცირებს ფასს საწარმოო რესურსებზე და ხდის მას უფრო ხელმისაწვდომს მწარმოებლისთვის. როცა ცენტრალური ბანკი იღებს ფულის მიწოდების ზრდის გადაწყვეტილებას, ეს ფული ხვდება კაპიტალის ბაზარზე, რაც აიაფებს კრედიტს, რაც მისი ხელოვნური ბუნებიდან გამომდინარე არ ახდენს გაყვენას დაზოგვის სურვილზე, თუმცა იაფი კრედიტი ბიზნეს ოპერატორებისთვის ქმნის იგივე სტიმულს, რასაც მონეტარული მანიპულაციების გარეშე, საბანკო ძალების ურთიერთქმედების შედეგად გააიაფებული კრედიტი. ისინი იღებენ სესხებს დაბალი საპროცენტო განაკვეთის გამო, ამასთან სხვებს არ აქვთ სურვილი, შეინახონ დანაზოგი დაბალი საპროცენტო განაკვეთის გამო. დაზოგვის სურვილის შემცირება იწვევს ხარჯვის სურვილის სტიმულირებას და მოხმარებლებს უჩნდებათ მეტი სტიმული აიღონ კრედიტი საკუთარი სურვილების დასაფინანსებლად. მწარმოებლები აქტიურად იძენენ წარმოების საშუალებებს, რაც იწვევს იმ სექტორების გამოცოცხლებას, რომლებიც ცენტრალური

ბანკის „ჩარევაბდე“ იყენენ არარენტაბელურნი. შედეგად კი ვიღებთ „საყოველთაო კეთილდღეობას“. მონხარება იზრდება ყველა მიმართულებით, თუმცა ეს ხდება არა ახალი რესურსების ხარჯზე, არამედ მხოლოდ ახალი „მწვანე ქაღალდების“ საფუძველზე. ეკონომიკა არ უზრუნველყოფს რესურსების ეფექტურ გადანაწილებას წარმოებასა და მონხარებას შორის. იმპულსები, რომელსაც ეფუძნება ბიზნეს სექტორის გადაწვევები, შექმნილია ხელოვნურად და არა ეკონომიკური ინდივიდების ურთიერთქმედების საფუძველზე, რაც ეკონომიკაში იწვევს პიკსა და დაცემას, შემდეგი გარემოებების გამო:

- წარმოების საშუალებებზე მოთხოვნის ზრდა გამოიწვევს მათზე ფასების მატებას;
- მონეტარული სტიმულების შეწვევასთან ერთად მკვეთრად შემცირდება მონხარებისა და ინვესტირების შესაძლებლობები;
- ადამიანები გააცნობიერებენ ფალსიფიცირებულ რეალობას და შეიცვლება მათი (მოლოდინი) ქცევა. [8]

ცხოვრება ნაღდი ფულის გარეშე

ფულის მრავალი განმარტება არსებობს. იგი იცვლებოდა და იცვლება ფულის ფუნქციების ევოლუციის პარალელურად, თუმცა უნივერსალური თვალსაზრისით — ფულად უნდა მივიჩნიოთ ყველაფერი, რაც კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში ასრულებს ან შეუძლია შეასრულოს ფულის მთავარი ფუნქცია, იყოს ღირებულების საზომი და შესაბამისად, გადახდის საშუალება. თუ ჩვენ ვაშენებთ „Cashless Society“-ს მაშინ უნდა ვიზრუნოთ, თუ როგორ მოვაწყოთ ისე, რომ „უსაფრთხოებაზე ზრუნვის“ მოტივით ჩვენი ცხოვრების ერთერთი ყველაზე საკვანძო ნაწილი — „ფინანსური ცხოვრება“, იყოს მაქსიმალურად დაცული სანქცირებული ფინანსური მანიპულაციებისგან, როგორც ამას დემოკრატიის ერთ-ერთი მამამთავარი ბენჯამინ ფრანკლინი გვიჩვენებს: „They who can give up essential liberty to obtain a little temporary safety deserve neither liberty nor safety“.

ევოლუციის ალტერნატიული გზა

ნაცვლად არსებული მონეტარული სისტემის ციფრულ გარემოში „გადარგვისა“, შესაძლებელია განვიხილოთ ალტერნატიული რეალობა, ევოლუციის ალტერნატიული გზა, რომელის საფუძველებიც 1992 წელს აღწერა მილტონ ფრიდმანმა „The Island of Stone money“. აღწერილ შემთხვევაში მიკრონეზიას მოსახლეობა ფულად გამოიყენებს დიდი

ზომის მრგვალ ქვებს. ქვების სიმძიმის გამო მათი ტრანსპორტირება მეტად არახელსაყრელია, ამიტომ ისინი შეაგროვეს თვალსაჩინო ადგილზე. კონკრეტული ქვის მფლობელის შეცვლისას, ქვის ახალი მფლობელი საჯაროდ აცხადებდა მის უფლებებს ქვაზე, ხოლო ქვას არ უცვლის მდებარეობას, თუმცა იცვლებოდა კუნძულის მოქალაქეთა მეხსიერება ქვის მფლობელობასთან მიმართებაში, რაც გამორიცხავს დაპირისპირებას ქვის მფლობელებს შორის.[5]

მიუხედავად ჩამორენილი გარეგნული ფორმებისა, მოცემულ მონეტარულ სისტემას აქვს მნიშვნელოვანი შინაარსობრივი უპირატესობა. იგი დაზღვეულია დისკრეციული მონეტარული პოლიტიკისა და სხვა პოპულისტური მანიპულაციებისგან (რაოდენობრივი შერბილების პროგრამები, მიზნობრივი ინფლაციის დონე და ა.შ.), რომლის შინაარსსა და კრიზისულ შედეგებზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

ბიტკოინის ეკოსისტემა

მიკრონეზიის სავალუტო სისტემის მოუხერხებელი და მოძველებული ფორმები სრულად გადაწვდა სატოში ნაკამოტოს სახელით ცნობილი ანონიმური პროგრამისტის მიერ 2009 წელს შექმნილი ბიტკოინის მონეტარულ სისტემაში.

ბიტკოინი წარმოადგენს დია სისტემას, რაც ნიშნავს, რომ კომპიუტერული პროგრამა თავისუფლად ხელმისაწვდომია ყველასთვის. ასევე, იგი არ წარმოადგენს ვინმეს კერძო საკუთრებას. ტრანზაქციების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ონლაინ გარემოში და ამისთვის საჭირო არ არის არც კომერციული ბანკი და არც სხვა ცენტრალიზებული სტრუქტურა. ოპერაციები ხორციელდება Peer-To-Peer რეჟიმში, რაც გამორიცხავს ცენტრალური სერვერის საჭიროებას.

შესაბამისად, ტრანზაქციების განხორციელებას არ სჭირდება დრო და დამატებითი დანახარჯები საკომისიოების სახით. რაც შეეხება ემისიის სისტემას, ახალი ბიტკოინების მოპოვება ხორციელდება კომპიუტერის საშუალებით და ამ პროცესს ეწოდება „მინინგ“, პროგრამის პროტოკოლის მიხედვით ყოველ 10 წუთში მოპოვებისთვის ხელმისაწვდომია 25 ბიტკოინი და ყოველ ოთხ წელიწადში ემისიის აღნიშნული ტემპი განახევრდება.

თეორიულად, ნებისმიერი კომპიუტერი შეიძლება ჩაერთოს ბიტკოინის მოპოვების ამ სისტემაში, თუმცა დაბალი სიმძლავრის კომპიუტერის შემთხვევაში, მოპოვებულმა ბიტ-

კონიგებმა შესაძლოა, არ დაფაროს ელექტრო ენერჯის ხარჯებიც კი. ასევე აღსანიშნავია, რომ ბიტკოინების საბოლოო რაოდენობა შემოსახლერულია 21 მლნ ბიტკოინით, რითაც იგი ემსგავსება ოქროს სავალუტო სისტემას, რომელიც ასევე შემოსახლერულია და არა ისეთივე უსასრულო, როგორც არსებული ქალაღდის ფულის სისტემა. ასევე უნდა აღინიშნოს, ბიტკოინის აქვს უნარი, მისი თითოეული ერთეული დაიფოს უსასრულოდ, რაც გვაძლევს საშულებას ფასწარმოქმნის სისტემა იფო უფრო ეფექტიანი და მოსახერხებელი. ერთი ბიტკოინის ნებისმიერი მცირე ნაწილი შეიძლება ავილოთ და გადავცეთ ჩვენთვის სასურველ პირს ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე.

დასკვნა

მიუხედავად რიგი ტექნიკური საკითხებისა, რომლებიც შემდგომ დახვეწას საჭიროებენ, ბიტკოინი არის რეალური მაგალითი მანიპულაციებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებებისგან თავისუფალი, გამართული ეკონომიკური შინაარსის მქონე, თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაფუძნებული მონეტარული სისტემისა.

მსგავსი ტიპის მონეტარულ სისტემაში დაზღვეული ვართ მონეტარული მანიპულაციებისგან (რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკა, მიზნობრივი ინფლაციის თარგეთირების ღონისძიებები და ა.შ.). შედეგად ვიღებთ უფრო სტაბილურ, უფრო პროგნოზირებად გარემოს, სადაც გადამწვეტ როლს თამაშობენ საბაზრო ძალები და არა პოპულისტური მიზნებით განმსჭვალული „ყოვლისმცოდნე“ და „წინასწარმეტყველი“ პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც „გეგმა-

ვენ“ როგორ უნდა იზრდებოდეს ეკონომიკა, ფულის მასა, ინფლაცია და ა.შ.

ბიტკოინის პლატფორმაში ფასწარმოქმნის სისტემა არის უკიდურესად დახვეწილი, არ არსებობს არანაირი ფულადი ერთეული, რომლის დაყოფაც შეუძლებელია. შესაბამისად, ფასების დამრგვალების აუცილებლობაც არ არსებობს. ასევე არ არსებობს ინფლაციის აუცილებლობა, ფულადი მასა „გაიზრდება“, მოხდება არა ახალი ფულის, არამედ არსებული ფულადი ერთეულების უსასრულოდ დაყოფის შედეგად, რაც, თავის მხრივ, არა რომელიმე „ცენტრალური მგეგმავი“, არამედ საბაზრო ძალების ურთიერთქმედების შედეგად თავისთავად მოხდება.

არ არსებობს დროითი და სივრცითი შეზღუდვები და დაბრკოლებები. ნებისმიერ დროს, ნებისმიერ დღეს და ნებისმიერ მანძილზე ტრანზაქციების შესრულება შესაძლებელი ყოველგვარი დამატებითი დროითი და ფინანსური დანახარჯების გარეშე.

ბიტკოინის ეკოსისტემაში ახალი სტიმული მისცა თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაფუძნებული საფინანსო სისტემის მკვლევარებს. ორი უმთავრესი პრობლემა, რაც დღეს სისტემის წინაშე დგას არის პოტენციური ოლიგოპოლიებისა და ორმაგი ხარჯის პრობლემის საკითხი. მსხვილი Mining ცენტრების გაჩენამ აჩვენა, რომ სისტემაში არის ოლიგოპოლიების გაჩენის საფრთხე, ისევე, როგორც ორმაგი ხარჯის, რამდენადაც სისტემაში არ არსებობს ცენტრალური მაკონტროლებელი. თუმცა ორივე ეს პრობლემა უფრო ტექნიკური ხასიათისაა ვიდრე არსებითი და მათი გადაწყვეტა არ წარმოადგენს დაუძლეველ დაბრკოლებას.

ლიტერატურა:

1. Daniel L. Thornton - “Requiem for QE , CATO Institute” 17.11.2015
2. Daniel J.Mitchell – “The war against Cash, Part III. CATO Institute” 1.03.2016
3. Jeff Cox “Fed’s trillions haven’t helped worker paychecks” , CNBC 31.06.2015
4. Jeff Cox “St. Louis Fed official: No evidence QE boosted economy”, CNBC 18.07.2015
5. Kevin Dowd and Martin Hutchinson „Bitcoin Will Bite the Dust“ CATO Jurnal 2015
6. Frank Shostack – “How Easy Money Drives the stock market “ MISES Institute 9.04.2015
7. Neil Irwin – “Quantitative Easing Is Ending. Here’s What It Did, in Charts” – The New York Times 29/10/2014
8. Jonathan Newman – “Inflation, Central Bank and Business Cycles”, MISES Institute 18/04/2015
9. Toru Fujioka and Masahiro Hidaka - “Bank of Japan Adopts Negative Rates, Keeps Asset-Buying Target”. Bloomberg news 29/01/2016